

აისბერგის პრინციპი ერნესტ ჰემინგუეის ნოველებში

მაგდა გალოგრე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია(ანგლისტიკა,გერმანული
ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა

მიმართულება: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე,სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემა ეხება ცნობილი ამერიკელი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედებას და მის წერის სტილს, რომელიც აისბერგის სახელითაა ცნობილი, ვინაიდან სწორედ აისბერგს წააგავს მისი სტილი ნახევრადდაფარული და ბუნდოვანი ხერხების გამოყენებით ლიტერატურაში. ბევრისთვის კერპადქცეული ჰემინგუეის შემოქმედებას აუმრავი თაყვანისმცემელი და დადებითად შემფასებელი მკითხველი ჰყავდა, რომელიც აღიარებდა მის ნოველებში აისბერგის პრინციპს და ჰემინგუეის დიდ შემოქმედად თვლიდა მისი მიღწევებით, თუმცაღა უამრავი კრიტიკოსიც ჩანდა მისი შემოქმედების არენაზე, რომლებიც ამ პრინციპის გამოყენებას გმობდა და აურყოფითად აფასებდა. კვლევის მიზანიც სწორედ ისაა, რომ ჰემინგუეის შესანიშნავი ნოველების ფონზე დავინახოთ აისბერგის ძალა და გავლენა, თუ როგორ ვლინდება ეს პრინციპი მწერლის კონკრეტულ შემოქმედებაში, ასევე იკარგება თუ არა ორიგინალიდან ქართულად გადმოთარგმნილ ტექსტებში ეს პრინციპი და როგორ გავლენას ახდენს ეს სტილი მკითხველზე.